საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თევზაძე გიგი გურამის ძე

თევზაძე გიგი გურამის ძე (დ. 22.VI.1967, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (2002). დაამთავრა თსუ-ის ფილოს. და ფსიქოლ. ფაკ-ტი (1989). სხვადასხვა დროს მუშაობდა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფ სახეობათა აღდგენის ცენტრში (NACRES) (1986–89); თსუ-ის ფილოს. და სოციოლოგიის ფაკ-ტზე (1992–97); საზ. აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინ-ტში (IPM) (1996–98); საქართვ. პარლამენტში (1997–99); თსუ-ის ფილოს. და სოციოლოგიის ფაკ-ტზე (1997–2002); თბილ. ილია ჭავჭავაძის ენისა და კულტურის სახელმწ. უნ-ტის ფილოს. და სოციალურ მეცნ. ფაკ-ტის, სოციოლოგიის კათედრის გამგე (2002– 06); განათლების სამინისტროს განათლების რეფორმის პროექტის „ილია ჭავჭავაძის" დირექტორი (2004–06). ილიას სახელმწ. უნ-ტის რექტორი (2006–14), ილიას სახელმწ. უნ-ტის 4D კვლევის ინტის დირექტორი (2013-იდან).

თ-ის კვლევის ძირითადი სფეროებია: სოც. მეცნიერება, ფილოსოფია, ადამიანის ქცევის ევოლუცია, იდეების ისტორია. გამოქვეყნებული აქვს 7 მონოგრაფია და 2 მხატვრული წიგნი. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა ქართ., ინგლ., გერმ., მაკედონიურ და რუს. ენებზე.

თხზ.: ჩვენი დრო, სფინქსი და ძენონის ისარი (ცნობიერების ესთეტიკა), თბ., 1993; მომავლის ნიშნები, თბ., 1995; საქართველო: ძალაუფლების სიმულაციები, თბ., 1999; ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია, თბ., 2001; სოციალური ქცევის ევოლუცია ჰომომდე და შემდეგ, თბ., 2013 (ქართულ და ინგლისურ ენებზე).